პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 112 (10198) | პარასკევი, 13 მაისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

სანიმუშოდ მოვემზადოთ მოსავლის ასაღებად

მძიმე მრეწველობა საბჭოთა სახალხო მეურნეობის საფუძველთა საფუძველია. მძიმე ინდუსტრიის განუხრელი აღმავლობის საფუძველზე ვითარდება სოციალისტური სოფლის მეურნეობა. კოლმეურნე გლეხობა, მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად ერთსულოვნად აწერენ ხელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხზე და ამით ცხადყოფენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას შშობლიური კომუნისტური პარტიისადმი — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელისადმი.

მთელი საბჭოთა ხალხი შემოქმედებითად შრომობს უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანის — მარცვლეულის მეურნეობის განვითარების წარმატებით განსახორციელებლად. მეტი პურის მოსაღებად საყოველთაოსახალხო ბრძოლაში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები იყენებენ საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების ღა მოწინავე გამოცდილების შესანიშნავ მიღწევებს, აუმჯობესებენ თავთავიანი კულტურების მოყვანის აგროტექნიკას. წელს პურეულის ნათესებს საქართველოში გაცილებით უკეთ უვლიან, ვიდრე გასულ წლებში.

ახლა მთავარია ის, რომ ყველა კოლმეურნეობის, მტს-ის, რაიონის მიერ საგაზაფხულო თესვის გეგმის აუცილებლად შესრულებასა და ნათესების სანიმუშოდ მოვლასთან ერთად ფართოდ გავაჩაღოთ წინასწარი მზადება მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღებისათვის.

მარცვლეულის საერთო მოსავლის გადიდების დიდმნიშვნელოვანი წყაროა მოსავლის აღებისას დანაკარგების მკვეთრად შემცირება. ჯიშთა გამოცდის ნაკვეთების, მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მონაცემები ცხადყოფენ, რომ მოსავლის დროზე აღება პურეულის მოსავლს ორი-სამი და მეტი ცენტნერით ადიდებს ჰექტარზე.

მკის გაჭიანურების გამო კოლმეურნეობებში ბევრი მარცვლეული იკარგება. ეს ჩანს შემდეგი მონაცემებიდან: გასულ წელს ასურეთის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში პურის მოსავლის აღება 45 დღეს გაჭიანურდა, ქედის, ალაზნისა და ულიანოვკის მტს-ების ზონებში — 30 დღეს, ხოლო ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებში — 50 დღეს, ბოგდანოვკის რაიონის კოლმეურნეობებში — 55 დღეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დაგვისახა ამოცანა — მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება თვითეულ კოლმეურნეობაში დავამთავროთ ათ სამუშაო დღეში.

პარტიის მიერ დასმული ამ საბრძოლო ამოცანის შესრულება დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაკებს, მექანიზატორებს, კოლმეურნეებს. უწინარეს ყოვლისა საჭიროა თავის დროზე და მაღალხარისხოვნად მომზადდეს ახალი მოსავლის ასაღებად კომბაინები. კომბაინი მოსავლის ასაღები ძირითადი მანქანაა. პურეულის აღების წარმატებას გადაწყვეტს კომბაინების შეუფერხებელი და მაღალი წარმადობით მუშაობა, როგორ მიმდინარეობს კომბაინის პარკის მომზადება მკისათვის?

ფაქტები მოწმობენ, რომ კომბაინების რემონტის ტემპი საქართველოში არადამაკმაყოფილებელია. 10 მაისისათვის რესპუბლიკაში რემონტის გეგმა შესრულებული იყო 65,8 პროცენტით. მცხეთის, ბარალეთის, წალკის, ავრალოს მტს-ებს რემონტის დავალება ერთიმესამედითაც არ შეუსრულებიათ. ვაჩიანის, განძის და ადიგენის მტს-ებს აღნიშნული დროისათვის არცერთი კომბაინი არ ჰქონდათ გამოშვებული რემონტიდან. არავითარი მიზეზი არ არსებობს რემონტის ასეთი დაბალი ტემპის გასამართლებლად. ეს მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ მთელი რიგი რაიონების პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციები და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ურიგდებიან ნაკლოვანებებს, არ იჩენენ მომთხოვნელობას ისეთ პასუხსაგებ დავალებათა შესრულებისათვის, როგორიც არის კომბაინის პარკის მომზადება პურეულის ასაღებად. ამასთან ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სარემონტო სახელოსნოებში შრომის ნაყოფიერების გადიდებას, რემონტის მოწინავე მეთოდების დანერგვას.

რაიონების ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მოწოდებული არიან მიიღონ გადამწყვეტი ზომები კომბაინების რემონტის გეგმის დაწესებულ ვადაზე შესრულებისათვის.

მარცვლეული კულტურების მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის საჭიროა ადგილებზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კომბაინების სრული დატვირთვით გამოყენებას, კვალიფიციური კომბაინერებითა და ტრაქტორისტებით, კოლმეურნეებით კომბაინის აგრეგატების დაკომპლექტებას. თვითეულ კომბაინერს უნდა ახსოდეს, რომ მისი მუშაობა შეფასდება არა მარტო სეზონური გამომუშავების, არამედ აგრეთვე დღიურ დავალებათა შესრულების მიხედვით. ყოველივე ეს იმის მტკიცე საწინდარი იქნება, რომ მნიშვნელოვნად შემცირდეს მოსავლის აღების ვადები.

რემონტის ტემპის გაძლიერებასთან ერთად არ შეიძლება მხედველობის არედან გამოვუშვათ მისი ხარისხი. არის ფაქტები, რომ ზოგიერთ მანქანა-ტრაქტორთა სადგურში გამოედევნენ რაოდენობრივ მაჩვენებლებს და დაივიწყეს ხარისხი. ყვარლის რაიონის ენისლის მტს-ში (დირექტორი ამხ. ე. ლომაური) რემონტდან გამოშვებულ „სტალინეც-4“ და „სტალინეც-4“ მარკის კომბაინებს ხერიოზული დეფექტები აღმოაჩნდათ, ხოლო „კომუნარის“ მარკის ორი კომბაინი განმეორებით საჭიროებს შეკეთებას. ლაგოდეხის რაიონის აფენის მტს-ში (დირექტორი ამხ. ვ. ბახტაძე) შეკეთებულ „სტალინეც-6“ მარკის კომბაინს 12 ხერიოზული დეფექტი აღმოაჩნდა, ხედერი და ნამჯის შემგროვებელი კი სრულებით არ იყო შეკეთებული.

კომბაინების ცუდად შეკეთების ფაქტები გამოვლინებულია წითლის, გომის, ქარელის, წნორისა და ზოგიერთ სხვა მტს-ში.

კომბაინების რემონტის დაბალი ხარისხი იმის შედეგია, რომ აღნიშნული მტს-ების დირექტორები და მთავარი ინჟინრები უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ ამ სამუშაოს. ახლა, როცა ჩვენი ხალხის წინაშე დასახულია სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ამოცანა, როცა მტს-ი წარმოადგენს გადამწყვეტ ძალას საკოლმეურნეო წარმოებაში, დაუშვებელია, რომ სარემონტო სახელოსნოებში წუნისმკეთებლები იყვნენ.

ცალკეულ მექანიზატორთა შორის ჯერ კიდევ ნაკლებია პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისადმი. სწორედ ამის შედეგია წუნი მუშაობაში. ეს მექანიზატორთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სუსტად დაყენებით აიხსნება. პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან გადაჭრით გააუმჯობესონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სოფლად. მასებში კომუნისტების, კომკავშირელებისა და უპარტიო აგიტატორების ორგანიზატორულმა მუშაობამ უნდა გაუღვიძოს ადამიანებს მისწრაფება — იმუშაონ რაც შეიძლება უკეთ, ხელი შეუწყოს შრომის მოწესრიგებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, დასახული გეგმების შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებას.

მოსავლის თავის დროზე ასაღებად აუცილებელია მაქსიმალურად გამოვიყენოთ არსებული კომბაინები და სხვა მანქანები. მაგრამ ამ მხრივ ჩვენში მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. მაგალითად, შარშან რესპუბლიკაში კომბაინის საშუალო დატვირთვა მხოლოდ 254 ჰექტარს შეადგენდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე აღნიშნა — იმისათვის, რომ მოსავალი ათ სამუშაო დღეში ავიღოთ, საჭიროა კომბაინის დღიური გამომუშავება ავიყვანოთ 18-20 ჰექტარამდე ნაცვლად შარშანდელი 10-12 ჰექტარისა.

ეს, რა თქმა უნდა, ადვილი ამოცანა არაა, მაგრამ მისი შესრულება შეიძლება, რაც ავალებს ყველა მექანიზატორს სრული სიმძლავრით გამოიყენოს თვითეული კომბაინი, მოსავლის ასაღები ყველა სხვა მანქანა.

ჩვენს რესპუბლიკაში კომბაინებით მოსავლის აღების ოსტატთა გამოცდილება გვიჩვენებს მანქანების ნაყოფიერად გამოყენების უდიდეს რეზერვებს. ამ რეზერვების სრულად ამოქმედება სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკთა ღვიძლი საქმეა.

საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის

★

მანქანათმშენებელთა დანაზოგები

5 საათია. საყვირმა მუშებს სამუშაო დღის დამთავრება აუწყა. საამქროებში ნელ-ნელა მიწყნარდა დაზგების ხმაური. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა მექანიკურ საამქროში მოიყარეს თავი. აქ შეიკრიბნენ ისინი, რათა ერთმანეთს გაუზიარონ ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვებით გამოწვეული თავიანთი კმაყოფილების გრძნობა.

მიტინგი გახსნა ქარხნის დირექტორმა გ. ბერძენიშვილმა.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივი, — განაცხადა მან, — მუდამ მხურვალედ უჭერდა მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველ ახალ ღონისძიებას. ვიწონებთ რა ახალი სესხის გამოშვებას, ჩვენ ერთსულოვნად მოვაწერთ მას ხელს. ამით ხელს შევუწყობთ ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

ტრიბუნაზეა სამჭედლო-სათუნუქე საამქროს ელექტროშემდუღებელი ა. დანილოვი.

— სიხარულით მოვაწერ ხელს ახალ სესხს, — ამბობს იგი, — ამით საკუთარ წვლილს შევიტან მშვიდობის განმტკიცების საქმეში. სესხის წარმატებით გავრცელება ახალი დარტყმა იქნება ომის გამჩაღებლებისადმი, რომლებიც ცდილობენ დაგვირღვიონ ბედნიერი ცხოვრება, ახალი ომის უფსკრულში გადაჩეხონ კაცობრიობა. აგრესორები ანგარიშში მოტყუვდებიან, ჩვენ ჩავფუშავთ მათს შავბნელ გეგმებს.

მჭედელი რ. პაგანი მოუწოდებს ქარხნის კოლექტივს ერთსულოვნად მოაწეროს ხელი კომუნიზმის მშენებლობის სესხს.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს მექანიკური საამქროს მრანდავმა ა. მარტიროსიანმა, კომკავშირელმა მეთუნუქემ ი. ბერკოვმა, ქარხნის საბავშვო ბაღის გამგემ თ. ლოლაძემ.

საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის სამრეწველო-დაწესებულებებში ახალ სესხზე ხელმოწერა წარმატებით დაიწყო და მიმდინარეობს.

სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილ მიტინგზე საავტომობილო ქარხნის ძრავის საამქროს ნოვატორმა ი. ჟორჟოლიანმა განაცხადა:

— საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად ახორციელებს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების თანმიმდევრულ პოლიტიკას. სიხარულით ვაწერ ხელს ახალ სესხს, მჯერა, რომ იგი მოხმარდება მშვიდობისა და მშრომელთა კეთილდღეობის საქმეს.

მანქანათმშენებელი ქარხნის მექანიკურ-ამწყობ საამქროში პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს ბრიგადირმა ვ. მარგველაშვილმა, ზეინკალმა ა. გვენთაძემ, ხარატებმა ნ. გაგეცკაიამ, გ. ხუნდაძემ და სხვებმა. მათ ერთსულოვნად მოაწერეს ხელი ახალ სესხს და პირობა დადეს გაორკეცებული ენერგიით იმუშაონ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

აბრეშუმის კომბინატის პირველ საქსოვ საამქროში გამართულ მიტინგზე, რომელსაც ათასამდე ფეიქარი დაესწრო, სიტყვა წარმოთქვა ქვეოსტატმა გ. ბოჭორიშვილმა. მან თქვა:

— სიამოვნებით ვაწერ რა ხელს ახალ სესხს, ბრიგადის სახელით ვალდებულებას ვკისრულობ ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით ქვეყანას მივცეთ 15 ათასი მეტრი აბრეშუმის მაღალხარისხოვანი ქსოვილი.

სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილმა მიტინგებმა მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩაიარა საკონსერვო, ლიტოპონისა და შუშის ტარის ქარხნებში, მაუდის ფაბრიკაში, რკინიგზის კვანძზე, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში, სასოფლო-სამეურნეო და პედაგოგიურ ინსტიტუტებში, ქალაქის სხვა საწარმო-დაწესებულებებში.

შრომითი დანაზოგი-საყვარელ სამშობლოს!

მხატვარ ა. ლავროვის პლაკატი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხზე (1955 წლის გამოშვება) ხელმოწერის ჩაფარებაში პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა ახალ დიდ წარმატებებს მიაღწია ეკონომიური და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის საფუძველზე წარმატებით შესრულდა 1954 წლის გეგმა. მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 65 პროცენტით გადიდდა 1950 წელთან შედარებით.

ხელმძღვანელობს რა დიდი ლენინის მოძღვრებით მსხვილი მანქანური მრეწველობის ყოველი ღონისძიებით განვითარებისა და ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის შესახებ, კომუნისტური პარტია წინანდებურად თავის მთავარ ამოცანად თვლის მძიმე ინდუსტრიის შემდგომ აღმავლობას, რომელიც შეადგენს მთელი სახალხო მეურნეობის და ჩვენი სამშობლოს უძლეველი თავდაცვისუნარიანობის მტკიცე საფუძველს, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების წყაროს. ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით იზრდება ლითონის, მანქანებისა და ელექტროენერგიის წარმოება, მატულობს ქვანახშირისა და ნავთობის ამოღება.

პარტია განუხრელად იბრძოლებს, რომ მძიმე ინდუსტრიის აღმავლობის საფუძველზე მიაღწიოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომ გადიდებას, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობას. სწორედ ამას მოწმობენ გადაწყვეტილებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა, რომელმაც დასახა მოსახლეობისათვის სურსათისა და მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის ნედლეულის წარმოების გადიდების ფართო პროგრამა.

პატრიოტული სიამაყის გრძნობით შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის მშრომელნი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებს. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ განიხილა და დაამტკიცა სსრ კავშირის 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც გამოხატავს საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას და ემსახურება სოციალისტური ეკონომიკის შემდგომ აღმავლობას; განიხილა და ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ პროფკავშირების წევრები, ყველა მშრომელი ღირსეულად შეასრულებენ თავიანთ პატრიოტულ მოვალეობას — ერთსულოვნად მოაწერენ ხელს ახალ სახელმწიფო სესხზე და ამით თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი განმტკიცების საქმეში.

საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი მხურვალედ უჭერს მხარს და იწონებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი სახელმწიფო სესხის (1955 წლის გამოშვება) გამოშვების შესახებ. ეს სესხი, ისევე როგორც წინანდელი სესხები, ხელს შეუწყობს მძიმე ინდუსტრიის შემდგომ განვითარებას, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის ძლიერების ზრდისა და განმტკიცების საფუძველია, სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის აღმავლობას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, ჩვენი სამშობლოს თავდაცვის უზრუნველყოფას.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი მოუწოდებს პროფკავშირების ყველა წევრს, მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის ყველა მუშას, ინჟინერს, ტექნიკოსსა და მოსამსახურეს, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს, ყველა მშრომელს ერთსულოვნად მოაწერონ ხელი ახალ სესხს.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას აქტიური მონაწილეობა მიიღონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხზე (1955 წლის გამოშვება) ხელმოწერის ჩატარებაში, გააჩაღონ ფართო მასობრივი ახსნაგანმარტებითი მუშაობა ახალი სესხის მნიშვნელობისა და პირობების შესახებ მუშებში, მოსამსახურეებში, ინტელიგენციაში, ყველა მშრომელს შორის, დარაზმონ ისინი შრომის ნაყოფიერების ახალი გადიდებისათვის, საწარმოო გეგმების მთლიანად და გადამეტებით შესრულებისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მიღწევისათვის.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ პროფკავშირების წევრები, ყველა მშრომელი ღირსეულად შეასრულებენ თავიანთ პატრიოტულ მოვალეობას — ერთსულოვნად მოაწერენ ხელს ახალ სახელმწიფო სესხზე და ამით თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი განმტკიცების საქმეში.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი

კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმი

ბორი. (საკ. კორ.). საკოლმეურნეო ცხოვრებამ ბარაქა და სიმდიდრე დაამკვიდრა მერეთელ კოლმეურნეთა ცხოვრებაში. გასულ წელს მერეთის კოლმეურნეობაში შრომადღეზე განაწილდა 1,6 კილოგრამი მარცვლეული და 49 მანეთი და 30 კაპიკი ფულად.

მერეთელმა კოლმეურნეებმა, რომლებმაც კარგად იციან, ვის უნდა უმადლოდნენ თავიანთ ბედნიერ და სასიხარულო ცხოვრებას, კმაყოფილებით მოაწერეს ხელი ახალ სესხზე და ხელმოწერის მთლიანი თანხა ნაღდ ფულად შეიტანეს.

ახალ სესხზე ხელმოწერამ მშრომელთა ერთსულოვნების ვითარებაში ჩაიარა გორის რაიონის სხვა სოფლებშიც — მეჯვრისხევში, ტყვიავში, ფლავში, ხიდისთავში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალ სახელმწიფო სესხზე ხელმოწერა გორის რაიონის სოფელ მერეთის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობაში და ქუთაისის რაიონის სოფელ გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლაში“. (მარჯვნივ).

ფოტო გ. ვახტანგაძისა და პ. ლუცენკოსი.

ეროვნული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

ეროვნულობა

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სასწავლებლებში პატრიოტული აღმავლობით მიმდინარეობს ახალი სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილი მიტინგები.

აჭარის უდიდესი საწარმოს—სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის № 1 საამქროში გამართულ მიტინგზე წარჩინებულმა ოპერატორმა ს. ვერგუნმა თქვა:

— მშრომელთა მიერ სახელმწიფოსათვის სესხად მიცემული სახსრები ხმარდება ახალი საწარმოების, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინების, სკოლების, ჯანმრთელობის კერების მშენებლობას, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას. სიამოვნებით ვაწერ ხელს სესხზე ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს და ერთსულოვნად მოაწერეს ხელი ახალ სესხს ოპერატორის თანაშემწეებმა გ. თურმანიძემ და ა. ფომენკომ, კოქსის გამწმენდმა ი. დანილოვმა და სხვებმა.

— კოლმეურნე გლეხობამ კარგად იცის, რომ მისი დანაზოგები, რასაც იგი სახელმწიფოს სესხად აძლევს, მის კეთილდღეობას, სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების დიად საქმეს ხმარდება, — განაცხადა ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა გული ვარშანიძემ. — ახალი სესხი დაიჩქარებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნას. სახელმწიფოს სესხად ვაძლევ ჩემს დანაზოგს და მთელი თანხა ნაღდად შემაქვს.

პატრიოტული სიტყვა წარმოთქვა მოხუცმა კოლმეურნემ მ. იაკობაძემ. მან შეძენილი ობლიგაციის ღირებულება იქვე ნაღდად დაფარა. ასევე მოიქცნენ კოლმეურნეები ხ. თედიძე, დ. ვარშანიძე, რ. თედიძე და სხვები.

მაღალი პოლიტიკური აქტივობის ნიშნით ჩაიარა მიტინგებმა მანქანათმშენებელ, ტყავის, კოფეინის, ფანერის ქარხნებში, სამკერვალო, თამბაქოს, ფეხსაცმლის ფაბრიკებში, პედაგოგიურ ინსტიტუტში, აჭარის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

მაღალი შეგნებულობის ნიშნით

სტალინირი. (საკ. კორ.). ოლქის მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ. ფაბრიკებსა და ქარხნებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებსა და კოლმეურნეობებში იმართება სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილი მიტინგები.

სტალინირის მექანიკური ქარხნის მოწინავე მუშამ ხ. კოშევოიმ ახალი სესხის გამოშვებისათვის მიძღვნილ მიტინგზე განაცხადა:

— სიხარულით ვაძლევ ჩემს შრომითს დანაზოგს საბჭოთა სახელმწიფოს, რადგან ვიცი, რომ იგი მოხმარდება ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას. კოშევოიმ ვალდებულება იკისრა წლიური საწარმოო დავალება 190-200 პროცენტით შეასრულოს.

სესხზე ხელმოწერამ ორგანიზებულად ჩაიარა ხე-ტყის კომბინატში, აგურისა და კრამიტის ქარხნებში.

კმაყოფილებით შეხვდნენ მთავრობის დადგენილებას ახალი სესხის გამოშვების შესახებ ოლქის კოლმეურნეები. სოფელ თამარაშენის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ერთსულოვნად მოაწერეს ხელი სესხს და ხელმოწერის თანხა ნაღდად შეიტანეს.

ხელმოწერა მაღალი პოლიტიკური აქტივობის ნიშნით მიმდინარეობს სოფელ ერედვის და სხვა კოლმეურნეობებში. სესხზე ხელმოწერა გადაიქცა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მშრომელთა დარაზმულობის მძლავრ დემონსტრაციად.

კომუნიკე

ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხთა ევროპის სახელმწიფოების ვარშავის თათბირის 1955 წლის 12 მაისის სხდომის შესახებ

ვარშავა, 12 მაისი. (საკდესი). 12 მაისს გაიმართა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხთა ევროპის სახელმწიფოების ვარშავის თათბირის მესამე სხდომა.

თავმჯდომარეობდა უნგრეთის დელეგაციის მეთაური, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ანდრაშ ჰეგედიუში.

სხდომაზე მოისმინეს ალბანეთის დელეგაციის მეთაურის, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მეპმეთ შეხუს, რუმინეთის დელეგაციის მეთაურის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გეორგე გეურგიუ-დეჟის, ბულგარეთის დელეგაციის მეთაურის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვილკო ჩერვენკოვის განცხადებანი.

თათბირზე განცხადება გააკეთა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეთვალყურემ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილემ და თავდაცვის მინისტრმა პინ დე-ხუაიმ.

12 მაისს გაიმართა აგრეთვე თათბირის დახურული სხდომა, რომელზეც მოისმინეს არმიის გენერალ ა. ი. ანტონოვის ინფორმაცია იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შექმნასთან.

სადილის შემდეგ გაიმართა თათბირის მიერ შექმნილი კომისიების სხდომები.

შემდეგი სხდომა გაიმართება 13 მაისს.

დეპეშა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ამხანაგ ნ. ა. ბულგანინს

მოსკოვი

დიდად პატივცემულო ამხანაგო ბულგანინ,

დღეს, გმირი საბჭოთა არმიის მიერ ყაყეული ფაშისტური რეჟიმის განადგურებისა და გერმანელი ხალხის განთავისუფლების მეათე წლისთავის დღეს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და მოსახლეობის სახელით და ჩემი სახელით უაღრესად გულწრფელ ძმურ სალამს გითვლით. გერმანელი ხალხი დიდი პატივისცემით და მადლობით იგონებს თავისი განმათავისუფლებლების სახელოვან საქმეებს, რომლებმაც თავდადებული ბრძოლით გაკაფეს ახალი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული გერმანიის გზა.

მუშათა კლასის ხელმძღვანელობით ანტიფაშისტურ-დემოკრატიული ძალები გერმანიის ერთ ნაწილში მტკიცედ დაადგნენ მშვიდობისა და დემოკრატიის გზას. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს თავიანთი განთავისუფლების მე-10 წლისთავის დღეს შესაძლებლობა აქვთ აღნიშნონ ბევრი წარმატება, რომლებიც მიღწეულია მათ მიერ მიღებული დიდი ღონისძიებების მეოხებით თავიანთი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს აშენებაში.

მაგრამ მშვიდობისმოყვარე გერმანელებმა იციან, რომ ამ წარმატებათა მოპოვება მათ შეეძლოთ მხოლოდ იმის მეოხებით, რომ დიდი სოციალისტური საბჭოთა კავშირი მუდამ უჭერდა მათ მხარს და უწევდა დახმარებას, უზიარებდა თავის მდიდარ გამოცდილებას სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში, აწვდიდა ნედლეულს, მანქანებსა და სურსათს. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირი მშვიდობისმოყვარე გერმანელ ხალხს ძვირფას დახმარებას უწევდა მისი სამშობლოს ერთიანობის აღდგენისათვის ბრძოლაში.

ამისათვის ჩვენ სულით და გულით ვუძღვნით მადლობას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას. განსაკუთრებით მადლობელი ვართ იმ ნდობისათვის, რასაც საბჭოთა ხალხები გვიწევენ და რასაც ესოდენ ბევრი რამ ადასტურებს.

უკვე ერთ წელზე მეტია, რაც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მიენიჭა სრული სუვერენიტეტი, რის შედეგადაც იგი დღეს იმყოფება დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკში როგორც ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს თანასწორუფლებიანი სახელმწიფო. საბჭოთა კავშირმა შეწყვიტა ომის მდგომარეობა გერმანიასთან, რამაც ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას. სულ ამ ცოტა ხნის წინათ საბჭოთა კავშირმა დაგვიბრუნა მის მიერ 1945 წელს გადარჩენილი დრეზდენის სურათების გალერეის უძვირფასესი საგანძური.

ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელი მშრომელის სახელით მინდა დაგარწმუნოთ, დიდად პატივცემულო ამხანაგო ბულგანინ, რომ პროგრესული გერმანელები ყველაფერს გააკეთებენ, რათა ჩვენს ხალხებს შორის არსებული მჭიდრო და ძმური ურთიერთობა უფრო ღრმა და მტკიცე გახდეს. მთელმა გერმანელმა ხალხმა იცის, რომ იგი, საბჭოთა კავშირის ღონისძიებათა მეოხებით, მარტო როდია ბრძოლაში თავისი სამშობლოს ერთიანობის უსწრაფესად აღდგენისათვის.

იმას, თუ რა რეალური შესაძლებლობანი არსებობენ ამ საკითხის გადასაჭრელად, მოწმობს მოლაპარაკება, რომელიც ამას წინათ გაიმართა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ავსტრიას შორის. ეს შეთანხმებანი გერმანელებისთვისაც გახდა ახალი სტიმული პარიზის შეთანხმებათა ლიკვიდაციისათვის ბრძოლის განსაგრძობად, რათა გერმანიამ მიაღწიოს მშვიდობას და გაერთიანებას მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საფუძველზე.

1955 წ. 9 მაისი.

სოციალისტური სალამით

ო. გროტეოლი.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ექსკურსანტების ჩასვლის წესი

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარმა კომიტეტმა განსაზღვრა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ექსკურსანტების ორგანიზებულად ჩასვლის წესი.

გამოფენაზე თავისი წარმომადგენლის მიგზავნების უფლება ენიჭებათ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, მტს-ებს, სამეცნიერო-საკვლევ, საცდელ დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებს. გამოფენაზე გასამგზავრებლად საექსკურსიო საგზურებს ანაწილებენ და ჯგუფებს აკომპლექტებენ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომები.

20-30 კაცისაგან შემდგარი ჯგუფები შერჩეულ უნდა იქნან მათი მონაწილეების სპეციალობათა მიხედვით — მემცენარეები, მეცხოველეები, მექანიზატორები და სხვ. ჯგუფების ასეთი ერთგვაროვანი შემადგენლობა იმის საშუალებას იძლევა, რომ უკეთ მოეწყოს მათი სწავლება გამოფენაზე.

იდგილობრივი ორგანიზაციები თვითეული ჯგუფის სახელმძღვანელოდ მთელი მგზავრობის დროს გამოყოფენ ხელმძღვანელს ჯგუფის შემადგენლობიდან. ექსკურსანტები მოსკოვში უზრუნველყოფილი იქნებიან ქალაქის ტრანსპორტით, სასტუმროთი ან საერთო საცხოვრებლით, გამოფენის ბილეთებითა და გამოსამგზავრებელი ბილეთებით. ვინც ჩავა სამივლინებო მოწმობით, მაგრამ საექსკურსიო საგზური არ ექნება, ასეთი მომსახურება არ გაეწევა.

გამოფენაზე ექსკურსანტების ყოფნის ვადად დაწესებულია 6 დღე. დაგვიანებულს გამოფენის სასტუმროში ცხოვრების ვადა არ გაუგრძელდება. მგზავრობის ხარჯებს იხდის ორგანიზაცია, რომელმაც თავისი წარმომადგენელი მიავლინა გამოფენაზე. კოლმეურნეებს მგზავრობის დროს დაერიცხებათ იგრეთვე შრომადღეები საშუალო წლიური გამომუშავების მიხედვით.

საექსკურსიო საგზურები ივნისისა და ივლისისათვის უკვე გაეგზავნათ იდგილებს. (საკდესი).

მშვიდობის მომხრეთა მეხუთე სრულიად საკავშირო კონფერენცია

10 მაისს ს. ე. კორნეიჩუკის მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი. ტრიბუნაზე ერთიმეორეს ცვლიან დიდი საბჭოთა ხალხის წარმომადგენლები, რომლებიც აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ენერგიულად იბრძოლონ მშვიდობის, დემოკრატიისა და პროგრესის საქმისათვის.

კამათში გამოვიდნენ ი. ბ. სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის ოსტატი გრიშინი, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ემელიანჩუკი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ობრაზცოვი, კუიბიშევჰიდროშენის მეექსკავატორეთა ბრიგადირი სანიკოვი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, ელბაზე შეხვედრის მონაწილე სამჩუკი, გმირი დედა აფანასიევა, ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ი. პეივე, უკრაინის ჩერნოვიცის ოლქის კოროვის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი მიკიტეი.

მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით კონფერენციას მიესალმა აკადემიკოსი ს. სობოლევი.

გახსნა რა 11 მაისის დილის სხდომა, მშვიდობის დაცვის უკრაინის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. სემენენკომ განაცხადა, რომ კონფერენციაზე ჩამოვიდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დელეგაცია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრების ერვინ ეკერტისა და ალფრედო ვარელას შემადგენლობით. შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წარმომადგენლებს.

კამათში სიტყვა ეძლევა მოსკოვის ოლქის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. გენერალოვს. იგი ამბობს, რომ საბჭოთა ხალხს მაღლა უჭირავს მშვიდობის დროშა. მშრომელნი ერთსულოვნად აწერენ ხელს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას, იციან რა, რომ დედამიწის უბრალო ადამიანთა მილიონობით ხელმოწერა მრისხანე გაფრთხილებაა იმ ძალებისადმი, რომლებიც ცდილობენ გააჩაღონ მსოფლიო ომი.

შემდეგ კამათში გამოვიდნენ ტაჯიკეთის სსრ სახალხო არტისტი ხალიფა მავლიანოვა, მოსკოვისა და მთელი რუსეთის პატრიარქი ალექსი, პოეტი ლევ ოშანინი, ლენინგრადის კიროვის სახელობის საავწყო-სატრანსპორტო მოწყობილობის ქარხნის ხარატი — მეკარუსელე ლებედინი, „ჩრდილოეთ პოლუსი-4“ მოდრეიფე სადგურის უფროსი ტოლსტიკოვი, ბურღვის ოსტატი პირმამედ ხალიძია, მშვიდობის დაცვის სომხეთის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ნაირი ზარიანი, მშვიდობის დაცვის სტალინგრადის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი პოლიანცევი, მწერალი სოფრონოვი, საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. რომანოვსკი, უკრაინელი მწერალი მიკოლა ბაჟანი და სხვები.

კონფერენცია მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სესია

მოსკოვში გრძელდება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სესია. ლუი საიანის მოხსენების გამო კამათში სესიის ბევრი მონაწილე გამოვიდა.

ლათინური ამერიკის მშრომელთა კონფედერაციის თავმჯდომარემ ლომბარდო ტოლედანომ ილაპარაკა ბრძოლის სხვადასხვა ფორმაზე, რასაც მექსიკის პროფკავშირები იყენებენ, რათა მშვიდობისათვის მოძრაობა დაუკავშირონ მშრომელთა მოთხოვნებს დაცვას და განსაკუთრებით ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

სესიის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის მდივნის ლიუ ძი-ძიუს სიტყვა. მან თქვა, რომ ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიც არის მშვიდობის დაცვა, ახალი ომის მომზადების გეგმების ჩაშლა, ბრძოლა კოლონიალიზმის წინააღმდეგ, პროფკავშირული მოძრაობის ერთიანობის მიღწევა, პროფკავშირულ უფლებათა დაცვა, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, ყველა მშრომელის საერთო ინტერესს წარმოადგენენ, მიუხედავად მათი რწმენის, რასობრივი კუთვნილების, რელიგიური რწმენის, ცხოვრების წესისა და სხვ. ამ საფუძველზე შეიძლება მშრომელთა მასების გაერთიანება, კერძოდ იმ ქვეყნებში, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თავისუფალი გერმანული პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ ჰერბერტ ვარნკემ ანალიზი გაუკეთა დასავლეთ გერმანიაში მუშათა კლასისა და პროფკავშირების მდგომარეობას, რომელიც პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციასთან დაკავშირებით შეიქმნა.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა პროფკავშირთა სრულიად ინდოეთის კონგრესის გენერალურმა მდივანმა ს. ა. დანგემ. მან აღნიშნა, რომ ინდოეთის მშრომელები და პროფკავშირები სულ უფრო აქტიურად ებმებიან მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ მოძრაობაში.

საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა ალენ ლე ლაპმა განაცხადა, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების გაუქმება აორძოდა საფრანგეთის მთავრობის მოქმედების გარდუვალი შედეგი, განსაკუთრებით პარლამენტის მიერ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შედეგი. საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების გაუქმებამ გააძლიერა საფრანგეთის მშრომელთა მისწრაფება — განამტკიცონ ძმური კავშირი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან. გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ნ. სოლოვიოვმა. ახლა, თქვა მან, როცა ხდება მშვიდობის ძალების პოზიციების შემდგომი განმტკიცება და ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით აგრესიული ძალების პოზიციების დასუსტება, პროფკავშირებს, როგორც მშრომელთა ყველაზე მასობრივ ორგანიზაციებს, შესაძლებლობა აქვთ გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობისათვის და, კერძოდ, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვენის მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიის წარმატების უზრუნველსაყოფად.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მდივანმა ლუიჯი გრასმამ (იტალია) ილაპარაკა შეტევაზე, რაც ამჟამად წარმოებს იტალიის პროფკავშირთა უფლებებზე.

მონოპოლიები, განაცხადა გრასმამ, ცდილობენ მოსპონ მუშათა ყველა მონაპოვარი და გატეხონ მათი წინააღმდეგობა. ისინი აწარმოებენ შეტევას რესპუბლიკის კონსტიტუციის, პროფკავშირთა უფლებების, საწარმოებში მუშათა უფლებების წინააღმდეგ. მონოპოლიების შეტევას ხალხი მზარდ წინააღმდეგობას უწევს. წინააღმდეგობის ძალები აძლიერებენ თავიანთ რიგებს. იქმნება ახალი ანტიფაშისტური ფრონტი მშრომელების დემოკრატიულ თავისუფლებათა და უფლებათა დასაცავად. (საკდესი).

სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში

11 მაისს მოსკოვში გაიმართა სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა მოსკოვის უნივერსიტეტის 200 წლისთავს.

სხდომა გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დ. დ. ბლაგოიმ. მოსმენილ იქნა მოხსენებანი „XIX საუკუნის 20-30-იანი წლების რუსი მწერლები მოსკოვის უნივერსიტეტში“ და „მოსკოვის უნივერსიტეტის XIX საუკუნის 30-40-იანი წლების პროფესორები“.

მუზეუმში მოწყობილია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილი გამოჩენილი რუსი მწერლებისადმი მიძღვნილი გამოფენა. აქ წარმოდგენილია ლერმონტოვის, გერცენის, ვენევიტინოვის, ჩეხოვის იშვიათი პორტრეტები, ავტოგრაფიანი წიგნები, პირადი ნივთები. ექსპონატებს შორის არის მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორების გრანოვსკის, ბუსლაევის, ტიხონრავოვის ლექციათა ჩანაწერები და სხვა მასალები. (საკდესი).

ამხანაგმა ა. ი. მიქოიანმა მიიღო სსრ-ში წინაალმდეგობის მოძრაობის ყოფილ მონაწილეთა, ეროვნული კრების დეპუტატთა და სენატორთა დელეგაციის წევრები

11 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა მიიღო წევრები საფრანგეთის წინაალმდეგობის მოძრაობის ყოფილ მონაწილეთა, ეროვნული კრების დეპუტატთა და სენატორთა დელეგაციისა, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება ყოფილ პარტიზანთა — საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის მონაწილეთა ჯგუფისაგან — ნ. ი. ჩიკალენკო. (საკდესი).

ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

სუბტროპიკულ რაიონებში მასობრივად გაჩაღდა ჩაის ფოთლის კრეფა. 11 მაისისათვის სულ მოკრეფილია 2.257,7 ტონა ჩაის ფოთოლი, ანუ მაისის დავალება შესრულებულია 7,6 პროცენტით. შარშან ამავე პერიოდისათვის გეგმა შესრულებული იყო 6,6 პროცენტით.

ბათუმის რაიონში ჩაის ფოთლის კრეფის მაისის დავალება შესრულებულია 11,7 პროცენტით, ქობულეთის — 13, გალის — 5,3, ოჩამჩირის — 4,2, გულრიფშის — 4,2, სოხუმის — 2, 8, გუდაუთის — 0,7, მახარაძის — 6,8, ჩოხატაურის — 5,4, ლანჩხუთის — 10,6, სამტრედიის — 21,7, წულუკიძის — 19,2, ქუთაისის — 11,6, წყალტუბოს — 21,5, ტყიბულის — 1,1, ცხაკაიას — 9, აბაშის — 10,9, გეგეჭკორის — 8,2, ზუგდიდის — 3,5, წალენჯიხის — 1,2, ჩხოროწყუს — 8,7, ხობის — 11,4, თერჯოლის — 72,6, ზესტაფონის — 56,7 პროცენტით.

მახარაძისა და წალენჯიხის რაიონების ცნობები არასრულია.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ახალი წვლილი კომუნიზმის მშენებლობაში

საბჭოთა ხალხის მტკიცე ერთიანობა და დარაზმულობა კვლავ გამოვლინდა იმ მხურვალე მხარდაჭერით, რომლითაც იგი შეხვდა მთავრობის დადგენილებას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სესხის გამოშვების შესახებ (1955 წლის გამოშვება).

ერთსულოვნად და ორგანიზებულად გაჩაღდა ახალ სესხზე ხელისმოწერა მთელ ჩვენს ქვეყანაში.

სსრ კავშირის სახელმწიფო სესხები ყოველთვის პოულობდა საერთო სახალხო მხარდაჭერას და ითვლებოდა მშრომელთა მონაწილეობის ერთ-ერთ აქტიურ ფორმად იმ სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების შესრულებაში, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე იდგა სოციალიზმის მშენებლობის ყოველ ეტაპზე.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო შემჭიდროებული საბჭოთა ხალხი დიდი ერთსულოვნებით იბრძვის კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განსახორციელებლად, მძიმე ინდუსტრიის შემდგომი განუხრელი განვითარებისათვის, რომელიც იყო და არის სოციალისტური მშენებლობის, მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების, ხალხის კულტურული და მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების, ჩვენი ქვეყნის ძლიერებისა და უშიშროების განმტკიცების საფუძველი.

უაღრესად დიდია სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის მიღწევები. ისინი ახარებენ ყოველ საბჭოთა ადამიანს, უნერგავენ მას თავისი ძლევამოსილი სამშობლოსათვის პატრიოტული სიამაყის გრძნობას. საკმარისია ითქვას, რომ სსრ კავშირის მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება 1954 წელს 1913 წლის დონესთან შესადარ ფასებში 35-ჯერ მეტი იყო. წარმოების საშუალებათა წარმოება ამავე ვადებში თითქმის 60-ჯერ გაიზარდა, ელექტროენერგიის წარმოება გაიზარდა 75-ჯერ და მეტად, ხოლო მანქანათმშენებლობის პროდუქცია — 160-ჯერ და მეტად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა ჩვენი ხალხის წინაშე დააყენა გრანდიოზული ამოცანა — უახლოესი 5-6 წლის განმავლობაში მარცვლეულის საერთო წარმოება ავიყვანოთ 10 მილიარდ ფუთამდე და ერთიორად და უფრო მეტად გავზარდოთ მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება.

ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად ახალ წარმატებებს მიაღწიეს საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა. საქართველოს მშრომელები, რომლებსაც ღრმად აქვთ შეგნებული თავიანთი პატრიოტული ვალი სამშობლოს წინაშე, თავდადებული შრომით ყოველმხრივ განამტკიცებენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით მშენებლობას.

იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში განუხრელად ვითარდება ეკონომიკა და მაღლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, კაპიტალისტურ ქვეყნებში, გამალებული შეიარაღებისა და ახალი მსოფლიო ომისათვის მზადების შედეგად, სულ უფრო ქვეითდება მოსახლეობის ცხოვრების დონე, იზრდება უმუშევრობა და მასების გაღატაკება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჟამად 5 მილიონამდე სრულიად უმუშევარია. სახალხო მოხმარების საქონლის ფასების ზრდას და გადასახადების გადიდებას, რომელთა საშუალებითაც იფარება უზარმაზარი სამხედრო ხარჯები, მოსდევს რეალური ხელფასის შემდგომი დაცემა. იგი მილიონობით ადამიანს ნახევრად მშიერ არსებობას განუმზადებს.

ბოროტი ზრახვები ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული ძალებისა, რომლებიც დაადგნენ ახალი მსოფლიო ომის მომზადების გზას, ყველა ქვეყნებში საერთო სახალხო აღშფოთებას იწვევენ.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა თვალი მიპყრობილია საბჭოთა კავშირისაკენ, რომელიც თანმიმდევრობით და განუხრელად იბრძვის მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის. სსრ კავშირის ბრძნული და მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა არა მარტო ჩვენი ხალხის მისწრაფებასა და სურვილებს, არამედ სხვა ქვეყნების ხალხების მისწრაფებებსა და სურვილებსაც გამოხატავს.

1955 წელს საბჭოთა ხალხის წინაშე უდიდესი ამოცანებია დასახული სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ეს ამოცანები გამოხატულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებში და სსრ კავშირის 1955 წლის ბიუჯეტში.

სახელმწიფო გრანდიოზული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დასაფინანსებლად სახსრებს იღებს სოციალისტური მრეწველობისა და სამეურნეო ორგანიზაციების დაგროვებიდან. შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საფუძველზე ეს დაგროვება წლითიწლობით იზრდება და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის მტკიცე ბაზას წარმოადგენს.

ბიუჯეტის შემოსავალში თვალსაჩინო ადგილი უკავია აგრეთვე მოსახლეობის სახსრებს, რაც შემოდის სახელმწიფო სესხების სახით.

საბჭოთა სესხები ჭეშმარიტად სახალხო სესხებია. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ათეულ მილიონობით მუშა, მოსამსახურე და გლეხია სახელმწიფო სესხის ობლიგაციების მფლობელი.

საბჭოთა კავშირის სესხებს საწარმოო ხასიათი აქვს. მათ იყენებენ ახალი ფაბრიკა-ქარხნების, შახტების, ელექტროსადგურების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ასაშენებლად, ახალ მატერიალურ ღირებულებათა შესაქმნელად.

ამასთან ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა სესხის ობლიგაციებზე ყოველწლიურად დიდ თანხებს იღებს. მარტო 1955 წელს მოსახლეობისათვის სესხზე გაცემული თანხები 12 მილიარდ მანეთს გადააჭარბებს. გასულ წელს საქართველოს სსრ მშრომელებმა სახელმწიფო სესხების ობლიგაციებით მოგების სახით 200 მილიონ მანეთზე მეტი მიიღეს.

მიმდინარე წელს გაიმართება გათამაშების 25 ტირაჟი, 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის და დაფარვის 5 ტირაჟის ჩათვლით.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი სახელმწიფო სესხი გათვალისწინებულია იმისათვის, რომ მიიზიდოს მოსახლეობის სახსრები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა დასაფინანსებლად. სესხის თანხა განსაზღვრულია 32 მილიარდი მანეთით.

სესხი გამოშვებულია 500, 200, 100, 50, 25 და 10 მანეთის ღირებულების ობლიგაციებად. ძირითადად ითვლება ასმანეთიანი ობლიგაცია.

სესხით მოგება დადგენილია 5.000, 1.000, 500 და 200 მანეთის რაოდენობით ასმანეთიან ობლიგაციაზე, თავისი ღირებულების ჩათვლით.

20 წლის განმავლობაში სესხის მთელი ობლიგაციების 25 პროცენტი იგებს, ხოლო დანარჩენი 75 პროცენტი დაფარული იქნება ნომინალური ღირებულების მიხედვით.

ახალი სესხი, როგორც წინათ, მოსახლეობაში ვრცელდება ხელმოწერით საწარმოებში, დაწესებულებებში, სამხედრო ნაწილებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში, სარეწაო არტელებში, სახლმმართველობებსა და სხვა ორგანიზაციებში, ნებაყოფლობითი პრინციპის დაცვით.

მუშები, მოსამსახურეები და სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც თვეში 700 მანეთამდე ხელფასს იღებენ, ხელს აწერენ სამი კვირის გამომუშავების რაოდენობით, ხოლო ისინი, რომელთა გამომუშავება 700 მანეთზე მეტია — თვიური გამომუშავების რაოდენობით.

საწარმოებს, დაწესებულებებსა და საფინანსო ორგანოებს ეკრძალებათ მიიღონ ხელმოწერა სესხზე დადგენილ ოდენობაზე ზევით. ამასთან ერთად მაღალი ხელფასის მქონე მუშაკები (ვინც იღებს ან გამომუშავებით აქვს თვეში 2.000 მანეთზე მეტი სხვა შემოსავალი) არ უნდა შეიზღუდონ ერთი თვის ხელფასზე ხელმოწერით. აღნიშნული კატეგორიის მუშაკებს, მათი სურვილის მიხედვით, ნება ეძლევათ მოაწერონ ხელი დიდ თანხაზეც.

შეძენილი ობლიგაციების ღირებულებას ხელისმომწერლები იხდიან ნაწილ-ნაწილ 10 თვის განმავლობაში. ყოველ ხელისმომწერს შეუძლია აგრეთვე ვადაზე ადრე გადაიხადოს თავისი ხელმოწერის თანხა ან გადაიხადოს შესატანი რამდენიმე თვით ადრე. იმ ხელისმომწერლებს, რომლებიც ვადამდე და ნაღდი ფულით გადაიხდიან შეძენილი ობლიგაციების ღირებულებას, გადახდის დროს ობლიგაციები ხელზე ეძლევათ. მუშები და მოსამსახურეები ხელმოწერის თანხას იხდიან თავიანთ სამუშაო ადგილას, დაწესებულების ან ორგანიზაციის ბუღალტერიაში. პირველი შესატანი გადახდილ იქნება 1955 წლის მაისის მეორე ნახევრის ხელფასიდან, ხოლო უკანასკნელი — 1956 წლის მარტის პირველი ნახევრის ხელფასიდან.

სამუშაო ადგილის შეცვლის დროს მუშებსა და მოსამსახურეებს უფლება ეძლევათ განაახლონ თავიანთი ხელმოწერა ახალ სამუშაო ადგილზე, არაუმეტეს შესაბამისი სამი კვირის ან თვიური ხელფასის რაოდენობისა სესხის გადახდისათვის დარჩენილი ვადის გათვალისწინებით.

პენსიონერები, დიასახლისები, შინამოსამსახურენი და არაკოოპერირებული წვრილი ხელოსნები სესხზე ხელს აწერენ და ხელმოწერის თანხას იხდიან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კოლმეურნე გლეხები, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა მშრომელები, აქტიურად მონაწილეობენ სესხზე ხელმოწერაში.

ყოველმა კოლმეურნემ იცის, რომ სახსრები, რომლებსაც ის სესხად აძლევს თავის სახელმწიფოს, მოხმარდება მის ღვიძლსა და ახლობელ საქმეებს — სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ ამაღლებას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას და ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფას.

სესხზე ხელმოწერა წელს გლეხობაში მიმდინარეობს პარტიისა და მთავრობის იმ დიდ ღონისძიებათა განხორციელების პირობებში, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველყოფა.

სესხზე ხელმოწერა დიდი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა. პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები ვალია ფართოდ გაშალონ მასობრივი ახსნაგანმარტებითი და ორგანიზატორული მუშაობა ახალი სესხის გასავრცელებლად.

აუცილებელია განვუმარტოთ მოსახლეობას, რომ ახალი სესხის გამოშვება ხელს შეუწყობს მძიმე ინდუსტრიის შემდგომ განვითარებას, მძიმე ინდუსტრიისა, რომელიც წარმოადგენს მთელი სახალხო მეურნეობის ძლიერებისა და ზრდის, სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის აღმავლობის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლების, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საფუძველს.

ახალ სესხზე ხელმოწერის წარმატებით ჩატარება და ხელმოწერილი თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსვლის მთლიანად უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანაა.

ეჭვი არ არის, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხზე (1955 წლის გამოშვება) ხელის მოწერა გადაიქცევა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო ჩვენი ხალხის მჭიდრო დარაზმულობის ახალ მძლავრ დემონსტრაციად.

ბ. ჩხეიძე,

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი.

ევროპის სახელმწიფოთა ვარშავის თათბირი ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ

ვარშავა, 11 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). თათბირის დილის სხდომაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ნ. ა. ბულგანინის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურმა ვ. შიროკიმ.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია, განაცხადა ვილიამ შიროკიმ, სავსებით ეთანხმება საერთაშორისო მდგომარეობის დაწვრილებითს ანალიზს, რომელიც საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა გააკეთა, და მიესალმება საბჭოთა მთავრობის წინადადებებს შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებზე. საბჭოთა კავშირის მთავრობის ეს ახალი ინიციატივა ყველა ხალხს უსახავს მთელი საერთაშორისო მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, იმ უმნიშვნელოვანესი საკითხების დაგაჭრის გზას, რომლებიც ეხება მსოფლიოს ყველა ქვეყნის ინტერესებს. ჩეხოსლოვაკიის მთავრობა მთელ თავის ძალებს ახმარს საბჭოთა კავშირის მშვიდობიან ინიციატივათა მხარდაჭერას, საბჭოთა წინადადებების მიღებასა და განხორციელებას.

მოგონა რა თათბირს, რომ მოსკოვის თათბირის მონაწილენი მივიდნენ ერთსულოვან დასკვნამდე, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია, რომელიც ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღდგენას და აგრესიულ ბლოკებში რემილიტარიზებული დასავლეთ გერმანიის შეყვანას, იქნება აქტი, მიმართული მშვიდობის შენარჩუნების წინააღმდეგ და ევროპაში ახალი ომის მოსამზადებლად, და რომ მოსკოვის თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ მზად არიან ასეთ შემთხვევაში მიიღონ თავიანთი უშიშროების უზრუნველყოფისა და ევროპის მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებისათვის საჭირო ღონისძიებანი, ვილიამ შიროკიმ თქვა:

დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღდგენისა და დასავლეთის აგრესიულ ბლოკებში დასავლეთ გერმანიის შეყვანის შემდეგ, ევროპაში ჩნდება დაძაბულობის საერთო გაძლიერების ახალი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი, ხალხთა უშიშროებისა და თავისუფლებისათვის საფრთხის ფაქტორი.

მოკლე ვადა, რომელიც ჩვენ გავშორებს გასული წლის ოქტომბერს, როცა ხელმოწერილ იქნა პარიზის შეთანხმებანი, სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ მთლიანად ნათელი გამხდარიყო ჩვენი ხალხებისათვის, რომ პარიზის შეთანხმებანი მიმართულია ჩვენი ქვეყნებისა და დანარჩენი მშვიდობისმოყვარე ქვეყნების მშვიდობის, უშიშროებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობას, თქვა შემდეგ შიროკიმ, რომელიც კვლავ ურყევად ახორციელებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკას, მოლაპარაკების გზით საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტის პოლიტიკას, მიაჩნია, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შედეგად არათუ სწორია, არამედ ფრიად საჭიროა მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რომლებსაც ითვალისწინებდა მოსკოვის თათბირი, მიღებულ იქნას ყველა საჭირო და გადამწყვეტი ღონისძიება ჩვენი ხალხების ინტერესების დასაცავად, ჩვენი უშიშროების დასაცავად, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დასაცავად.

ჩვენი საერთო პასუხი მტკიცე და გარკვეულია. 1954 წლის 2 დეკემბერს მოსკოვში ჩვენ ხელი მოვაწერეთ დეკლარაციას, რომელიც გამოხატავს ჩვენს ერთსულოვან თვალსაზრისს პარიზის შეთანხმებათა შესახებ, ხოლო უკვე დღეს, პარიზის შეთანხმებათა სარატიფიკაციო სიგელების დეპონირებიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ, ჩვენ ვაპირებთ საჭირო ღონისძიებათა მიღებას.

ჩვენ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ განვიხილოთ ჩვენი რვა სახელმწიფოს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების და გაერთიანებული სარდლობის ორგანიზაციის ხელშეკრულების დადება. ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობამ წინასწარი კონსულტაციების დროს გამოთქვა რწმენა, რომ ეს ღონისძიებანი ევროპის მშვიდობისმოყვარე ქვეყნების სწორი და ეფექტიანი პასუხი იქნება იმ საფრთხეზე, რომელსაც პარიზის შეთანხმებები უქმნიან მათს ეროვნულ უშიშროებას.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურმა შემდეგ აღნიშნა, რომ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელსაც ახლა თათბირი განიხილავს, სავსებით შეესაბამება ჩეხოსლოვაკიის ხალხის ინტერესებსა და საჭიროებებს.

ჩვენი ხელშეკრულება, თქვა მან, გამოხატავს ევროპის მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ახალ, კიდევ უფრო მჭიდრო დარაზმულობას, მისი მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რომ ჩვენს ღონისძიებებს მხარს უჭერს აზიის 600-მილიონიანი სახელმწიფო — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომლის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ ჩვენს მოლაპარაკებაში, როგორც მეთვალყურეები. მაგრამ ჩვენ არ ვქმნით კარდახშულ იზოლირებულ ბლოკს, რომელიც უპირისპირდება დასავლეთის კარდახშულ აგრესიულ ბლოკებს. ჩვენი ხელშეკრულება არა მარტო მტკიცე საფუძველია ჩვენი ქვეყნების უშიშროებისა, არა მარტო ურთიერთგარანტიაა აგრესიის წინააღმდეგ, არა მარტო საფუძველია მათი თანამშრომლობისა მშვიდობიან მშენებლობასა და მშვიდობისათვის ბრძოლაში, არამედ აგრეთვე მტკიცე და საიმედო საფუძველია მისწრაფებისა ევროპის ყველა ქვეყნის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისაკენ, საფუძველია შემდგომი მისწრაფებისა მთელი ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფისაკენ, მოლაპარაკების გზით სადავო საკითხების გადაწყვეტის, მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის, შეიარაღების საყოველთაო შემცირების, ყველა სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობისაკენ.

მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება მტკიცე საფუძველს უქმნის ევროპის იმ რვა ქვეყნის უაღრესად მჭიდრო თანამშრომლობას, რომელთა წინააღმდეგ უწინარეს ყოვლისა მიმართულია მშვიდობის მტრების ინტრიგები და საომარი მზადება. დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებმა საბჭოთა კავშირის მეთაურობით ომისშემდგომ განვითარებაში ცხადყვეს, რომ ისინი ყველაზე თანმიმდევრული და ყველაზე საიმედო მებრძოლები არიან ევროპის ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

ხელშეკრულება აკანონებს უაღრესად საჭირო ღონისძიებებს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის ჩვენი შემდგომი საერთო ბრძოლის კოორდინაციის შესახებ. იგი იქნება ეფექტიანი და მძლავრი იარაღი ჩვენი ქვეყნების შემდგომ საერთო ბრძოლაში ევროპაში ახალი ომის მომზადების წინააღმდეგ, გერმანიის აღორძინებული მილიტარიზმის ყოველგვარი ინტრიგების წინააღმდეგ, დასავლეთის აგრესიული ბლოკების ყოველგვარი გეგმებისა და მანევრების წინააღმდეგ.

დასავლეთის ბლოკების შეიარაღებული ძალების საომარი მზადების სერიოზულ გაძლიერებასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი თავდაცვითი მოქმედების კოორდინაციას, ჩვენი რვა ქვეყნის გაერთიანებული სარდლობის ორგანიზაციას. ჩეხოსლოვაკიის მთავრობის თვალსაზრისით სავსებით სწორი ღონისძიება — ერთობლივი ვალდებულება, რომ რომელიმე ჩვენს ქვეყანაზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში მას დაუყოვნებლივი და ყოველმხრივი დახმარება გავუწიოთ, — იმის მტკიცე გარანტიაა, რომ ყოველი აგრესორის წინააღმდეგ გამოვა ჩვენი უდიდესი საერთო ძალა.

გაერთიანებული სარდლობა იძლევა იმის გარანტიას, რომ ჩვენი ქვეყნების შეიარაღებული ძალების შემდგომი ფორმირების დროს კიდევ უფრო ეფექტიანად იქნება გამოყენებული დიდი სამამულო ომის გამოცდილება. იგი უზრუნველყოფს ჩვენი შეიარაღებული ნაწილების ისეთ წვრთნას, რომ თავდასხმის შემთხვევაში ისინი შეძლებენ გაიმარჯვონ ისეთ მტერზეც, რომელიც ფლობს სრულყოფილ ტექნიკას. დაე ხურავინ ნუ დაეჭვდება, რომ ჩვენს ხალხებს მუდამ ექნებათ თავიანთ განკარგულებაში მთელი საჭირო ძალები და საშუალებანი, რათა ჩანასახშივე ჩაფუშონ აგრესიის ყოველი ცდა.

აღნიშნა რა, რომ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისათვის არის იმ მეგობრულ ქვეყნებთან მისი სამოკავშირეო ურთიერთობის შემდგომი დადასტურება და განმტკიცება, რომლებთანაც მას დღემდე ასეთი ხელშეკრულება არ ჰქონია, ვილიამ შიროკიმ თქვა:

ამიტომ ნება მიბოძეთ ჩეხოსლოვაკიის მთავრობისა და ჩეხოსლოვაკიის მთელი ხალხის სახელით გულითადად მივესალმო ჩვენს ახალ მოკავშირეს — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ჩვენს ქვეყანას აკავშირებს მთელი რიგი წლების მანძილზე მჭიდრო მეგობრობა, რომელიც განუწყვეტლივ მტკიცდება და ფართოვდება. ამ ჩვენს ძმურ ურთიერთობას ახლა ხელშეკრულების მკაფიო ფორმა ეძლევა.

მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას, განაგრძო შიროკიმ, დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს ევროპასა და მთელ მსოფლიოში შემდგომი განვითარებისათვის.

იგი საიმედო საფუძველია ჩვენი საერთო ბრძოლისა მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის, სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნისათვის, საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრისათვის, ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობისათვის, მიუხედავად საზოგადოებრივი სისტემების განსხვავებისა. ჩვენ ვიყავით და კვლავაც ვიქნებით იმის წინააღმდეგი, რომ ევროპა გაითიშოს დაპირისპირებულ ბლოკებად. ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, და დღევანდლამდე მომხდარმა ამბებმა ეს დაადასტურეს, რომ მხოლოდ კოლექტიური უშიშროების გზაა სწორი და მისაღები ევროპის ყველა ხალხისათვის. ამიტომ ჩვენი ქვეყნები საჯაროდ ადასტურებენ თავიანთ მისწრაფებას კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნისადმი, რომლის საფუძველი იქნება მასში ევროპის ყველა სახელმწიფოს მონაწილეობა, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა. ჩვენი ხელშეკრულების მიზანი და აზრი ის როდია, რომ შეექმნათ სახელმწიფოთა კარდახშული ბლოკი სახელმწიფოთა სხვა ჯგუფის წინააღმდეგ. ხელშეკრულება ღიაა და მას შეიძლება შეუერთდეს ყველა სახელმწიფო, რომელიც მზად არის გააერთიანოს ჩვენთან ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენი ქვეყნები კვლავაც დაუცხრომლად შეეცდებიან გააერთიანონ ევროპის ყველა ქვეყნის მშვიდობიანი მისწრაფებანი. ჩვენი ხელშეკრულების მიზანი და აზრი ის არის და იქნება, რომ საიმედოდ უზრუნველყოს ევროპის მშვიდობა სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის საშუალებით. როცა ეს მიზანი მიღწეულ იქნება, ჩვენი ხელშეკრულება დაკარგავს თავის ძირითად აზრს და დაკარგავს თავის ძალას. იმის დადასტურება და მაგალითი, რომ ევროპის გადაუჭრელი პრობლემები შეიძლება გადაიჭრას, და თუ როგორ შეიძლება მათი გადაჭრა, არის ავსტრიის საკითხი. სწორედ აქ დამტკიცდა, რომ ასეთი საკითხების გადაჭრა შეუძლებელია დაპირისპირებული ბლოკების გზით და მით უფრო ძალის პოზიციის პოლიტიკის საფუძველზე. ძალის პოზიციის პოლიტიკით შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ ერთი შედეგი: დაძაბულობის გამწვავება, ახალი ომის საფრთხის გაძლიერება, მაგრამ შეუძლებელია გადაიჭრას ესა თუ ის საერთაშორისო პრობლემა. შეთანხმება, რომელიც მიღწეულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის მთავრობის დელეგაციებს შორის მოსკოვში, მთელ მსოფლიოში მიაჩნიათ იმის მაგალითად, თუ როგორ შეიძლება წარმატებით გადაიჭრას სადავო საკითხები მოლაპარაკების საფუძველზე, როცა არის ორივე მხარის კეთილი ნება. თუ ამ დღეებში დადებითი შედეგებით დამთავრდა ოთხი სახელმწიფოს ელჩთა და ავსტრიის წარმომადგენელთა მოლაპარაკება ვენაში და თუ საფუძვლიანია იმედები, რომ მალე ხელი უნდა მოაწერონ სახელმწიფო ხელშეკრულებას, ეს არის არა ძალის პოზიციის პოლიტიკის შედეგი — როგორც ამ პოლიტიკის ზოგიერთი დამცველი აცხადებს — არამედ უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის უდიდესი სამშვიდობო ღონისძიების შედეგი, მოწმობს თუ რა დადებითი შედეგები მოსდევს მის ურყევ მისწრაფებას მშვიდობის შენარჩუნებისა და საერთაშორისო საკითხების გადაჭრისადმი.

ავსტრიის საკითხის გადაჭრასთან დაკავშირებით დასავლეთ გერმანიაშიც სამართლიანად გაისმის ხმები, რომ გერმანიის საკითხის გადაჭრის დროსაც საჭიროა ხელმძღვანელობდნენ არა აგრესიული ბლოკების და ძალის პოზიციის პოლიტიკის ინტერესებით, არამედ გერმანელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებით და ევროპის მშვიდობის ინტერესებით. ეჭვი არ არის, რომ ამ პირობებში, თუ არ იქნება შესაძლებელი გერმანიის მილიტარიზმის აღდგენა, ახლაც არის რეალური შესაძლებლობა ბოლო მოეღოს არანორმალურ მდგომარეობას გერმანიაში და მიღწეულ იქნას გერმანიის ეროვნული ერთიანობის აღდგენა.

მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელიც მძლავრი იარაღია ევროპაში აგრესიის წინააღმდეგ, ამავე დროს ეფექტიანი იარაღია საერთაშორისო საკითხების გადასაჭრელად მშვიდობისა და შეთანხმების სულისკვეთებით, ხალხთა ინტერესების შესაბამისად. ამიტომ იგი განასახიერებს არა მარტო ჩვენი ხალხების ინტერესებს, არამედ აგრეთვე ევროპის ყველა ქვეყნის ხალხთა ინტერესებს. ჩვენი ხელშეკრულება, ყველა მისი დებულება ეყრდნობა ხალხთა მშვიდობიანი ურთიერთობის ძირითად და საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის ურთიერთპატივისცემის, სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს, ყველა სახელმწიფოს ვალდებულებას ერთობლივად ესწრაფოდნენ მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებას, ყველა სახელმწიფოს უცილობელ უფლებას ინდივიდუალურად და კოლექტიურად დაიცვან თავი.

ხელშეკრულება სავსებით შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებსა და პრინციპებს. ჩვენი ქვეყნები კისრულობენ ვალდებულებას თავიანთ საერთაშორისო ურთიერთობაში თავი შეიკავონ ძალით დამუქრებისა ან ძალის გამოყენებისაგან და საერთაშორისო დავა გადაწყვიტონ მშვიდობიანი საშუალებებით ისე, რომ არ შეუქმნან საფრთხე საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას. ისინი მუდამ მზად იქნებიან გულწრფელი თანამშრომლობის სულისკვეთებით მიიღონ მონაწილეობა ყველა საერთაშორისო მოქმედებაში, რომლის მიზანია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა, და მთლიანად მოახმარონ თავიანთ ძალებს ამ მიზნების მიღწევას. ისინი სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებით, რომლებიც მოისურვებენ ამ საქმეში თანამშრომლობას, ეცდებიან იხმარონ ეფექტიანი ღონისძიებანი შეიარაღების საყოველთაო შემცირებისა და ატომური და წყალბადის იარაღის, ისევე როგორც მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვისათვის. ამას გვავალებს ხელშეკრულება, ამას გვავალებს ჩვენი ხალხის ნება.

დასასრულ ვ. შიროკიმ თქვა: ჩეხოსლოვაკიის მთავრობა მთელი ჩეხოსლოვაკიის ხალხის სახელით აცხადებს, რომ სავსებით უჭერს მხარს რვა სახელმწიფოს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას და მიიღებს ყველა მის დებულებას და მისგან გამომდინარე ვალდებულებებს, მუდამ განუხრელად დაიცავს ამ ხელშეკრულებას.

შემდეგ განცხადება გაკეთა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა. მან მოაგონა დამსწრეთ, რომ მოსკოვის თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა, რომლებიც სავსებით ითვალისწინებდნენ, თუ რა შედეგები მოსდევს პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას ევროპის მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის, მიიღეს ნათელი დეკლარაცია, რომელიც აღნიშნავს, რომ საჭიროა მიღებულ იქნას ერთობლივი ღონისძიებანი შეიარაღებული ძალებისა და მათი სარდლობის ორგანიზაციის დარგში, აგრეთვე სხვა ღონისძიებანი, რომლებიც საჭიროა თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის ახალი სიტუაციის წინაშე.

დღეს, განაცხადა ცირანკევიჩმა, წმიდა მოვალეობა ვარშავის თათბირზე წარმოდგენილი მთავრობებისა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან თავიანთი ხალხების წინაშე მშვიდობის, დამოუკიდებლობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის შენარჩუნებისათვის, ის არის, რომ მიიღონ და განახორციელონ ის ღონისძიებანი, რომლებიც ჩვენ გამოვაცხადეთ მოსკოვის თათბირზე.

შეეხო რა იმ ათი წლის შედეგებს, რაც გავიდა მას შემდეგ, რაც გერმანიის მილიტარიზმმა მოახდინა კაპიტულაცია საბჭოთა კავშირის ძლევამოსილი ძალების წინაშე, მშვიდობისმოყვარე, თავისუფლებისმოყვარე ხალხების წინაშე, პოლონეთის დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, რომ პოლონეთის საგარეო პოლიტიკის ეს ათი წლის პერიოდი იყო პერიოდი განუწყვეტელი ღონისძიებებისა იმ მიმართულებით, რომ უზრუნველგვეყო თანამშრომლობა ევროპის ყველა ქვეყანასთან, გაბურჩევლად მათი საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილებისა. მაგრამ ევროპის მშვიდობისათვის ბრძოლაში, თქვა მან, ჩვენ მუდამ ვაწყდებოდით დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენლების, უწინარეს ყოვლისა, შეერთებული შტატების მმართველი წრეების მტრობასა და შეურიგებლობას. ეს წრეები მუდამ მტრულად ეკიდებოდნენ პოლონელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკა მტრული იყო არა მარტო პოლონეთის მიმართ, არამედ ევროპის ყველა ხალხის მიმართაც, ცირანკევიჩმა შემდეგ თქვა:

ეგრეთწოდებული „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის ყველაზე მკაფიო გამოვლინება, პოლიტიკისა, რომლის მიზანია ომი, ახლა არის პარიზის შეთანხმებანი. ასე აფასებს მდგომარეობას არა მარტო პოლონელი ხალხი, არამედ დასავლეთ ევროპის ხალხებიც. ამას ყველაზე უკეთ ის მოწმობს, თუ რა რთულ მანევრებსა და სასოწარკვეთილ ღონისძიებებს მიმართეს საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მთავრობებმა, რათა შეერთებული შტატების ზეგავლენით თავს მოეხვიათ თავიანთი ხალხებისათვის დამღუპველი შეთანხმებანი — პარიზის შეთანხმებანი.

არა მარტო ფრანგი ხალხი, არამედ დასავლეთ ევროპის სხვა ხალხებიც ხედავენ აღორძინებული გერმანული მილიტარიზმის საფრთხეს. ამ საფრთხეს ხედავს აგრეთვე გერმანელი ხალხი, მას ხედავს განსაკუთრებით დასავლეთ გერმანიის ახალგაზრდობა. სულ უფრო ძლიერ და ხშირად გაისმის ხმები, რომლებიც მოწმობენ, რომ დასავლეთ გერმანიის მეტწილ მოსახლეობას არა სურს ჰიტლერული ვერმახტის აღორძინება.

მართლაც, განაგრძო ცირანკევიჩმა, რას იწვევენ პარიზის შეთანხმებანი?

ხდება მილიტარისტული ძალების აღორძინება, იქმნება ნეოჰიტლერული ვერმახტი, რომელშიც პირველ ხანებში, გარდა შინაგანი უშიშროების და პოლიციის რაზმებისა, იქნება 500 ათასზე მეტი კაცი. ეს ძალები აღჭურვილი იქნებიან თანამედროვე იარაღით, აღჭურვილი იქნებიან მასობრივი მოსპობის იარაღითაც.

აძლევენ რა ხალხებს ყალბ გარანტიებს, ნამდვილად ფართო შესაძლებლობას ქმნიან დასავლეთ გერმანიაში სამხედრო მრეწველობის განვითარებისათვის. შეიარაღებული ძალების რიცხვი შეიძლება შედარებით სწრაფად გადიდდეს. ევროპის ხალხები უკვე წარსულში არაერთხელ დარწმუნებულან, თუ რა მოჩვენებითი ხასიათი აქვს ამგვარ გარანტიებს. პარიზის შეთანხმებათა დადგენილებების აბნეული სისტემა ნავარაუდევია იმისათვის, რომ იგი ნებისმიერად განმარტონ იმათ, ვისაც აგრესიის პოლიტიკის ინსტრუმენტად მიაჩნია ეს დოკუმენტი.

მოიყვანა რა ვერმახტის მომავალ ხელმძღვანელთა აზრი, თუ რას მოელიან ისინი ახალი სამხედრო დაჯგუფების შექმნისაგან, ცირანკევიჩმა თქვა, რომ, უეჭველია, ტყუვდებიან ისინი, ვისაც მიაჩნია, რომ აღორძინებული გერმანული მილიტარიზმის ძალები გაემართებიან მხოლოდ და მხოლოდ აღმოსავლეთისაკენ.

დასავლეთ ევროპის ხალხებს ამგვარი ილუზიები ერთხელ უკვე დაუჯდათ თავიანთი დამოუკიდებლობის ფასად. და მხოლოდ სრულმა დამარცხებამ, რაც ჰიტლერიზმს მიაყენა საბჭოთა არმიამ, მისცა ევროპის ხალხებს იმის შესაძლებლობა, რომ აღედგინათ თავიანთი დამოუკიდებლობა.

დაასურათა რა საფრთხე, რომელიც პარიზის შეთანხმებებიდან გამომდინარეობს, ცირანკევიჩმა შემდეგ განაცხადა:

პოლონეთის მთავრობა ნათლად და გარკვეულად აყენებს კითხვას ხალხის წინაშე: პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შედეგად გერმანული მილიტარიზმის აღორძინების საფრთხე სავსებით რეალური ხდება. გერმანული მილიტარიზმი სერიოზულ საფრთხეს უქმნის პოლონელ ხალხს. გერმანელი რევანშისტები ოცნებობენ ჩვენი მიწა-წყლის მიტაცებასა და კოლონიზაციაზე, მათ ეზმანებათ ჰიტლერის გზა მოზელიდან კლაიპედამდე, სუდეტებიდან ურალამდე...

რას მოითხოვს ჩვენგან ჩვენი ეროვნული ინტერესები ასეთი საფრთხის წინაშე? შეგვიძლია თუ არა გულხელდაკრეფილნი ვიყოთ და ველოდოთ, სანამ რევიზიონისტული გერმანიის აღდგენილი სამხედრო მანქანა დაიძრებოდეს ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენი ქვეყნების წინააღმდეგ?

ვერც ერთი პატიოსანი მთავრობა, განაგრძო მან, უმოქმედოდ ვერ იქნება ასეთ მდგომარეობაში. ხალხის უშიშროებისათვის, მისი მომავლისათვის, მშვიდობიან შრომაში მის მონაპოვართათვის ზრუნვა, ევროპის მშვიდობისათვის ზრუნვა პოლონეთის მთავრობას უკარნახებს აუცილებლად გამონახოს უშიშროების ეფექტიანი მეთოდები, რათა არასოდეს აღარ გამეორდეს ოკუპაციის შავბნელი წლები, რათა არასოდეს აღარ იყოს ოსვენციმი, მაიდანეკი და სიკვდილის სხვა ბანაკები.

ჩვენ არ გვინდა, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა დამოკიდებული იყოს რეალურ შინაარსსმოკლებულ გარანტიებზე, როგორც ეს იყო 1939 წელს გამცემლური პროჰიტლერული პოლიტიკის — სანაციის პოლიტიკის შედეგად.

ცირანკევიჩმა განაცხადა, რომ პოლონეთის ისტორიის გამოცდილების მიხედვით ცხადია, რომ პოლონეთს შეუძლია ეძებოს და კიდეკიც უნდა ეძებოს დახმარება მეგობრებში.

იქ, განაგრძო მან, ეს დახმარება რეალური და კონკრეტულია. ოთხ დიდ სახელმწიფოს შორის ერთადერთი ჩვენი გულწრფელი მეგობარი იმთავითვე იყო და მუდამ რჩება საბჭოთა კავშირი. საბჭოთა მეომრის ძმობამ და თავდადებამ დაგვიბრუნა თავისუფლება და გვიხსნა დაღუპვისაგან. საბჭოთა კავშირის დახმარება პოლონეთის ცხოვრების ყველა დარგში ომისშემდგომი პერიოდის ძნიმე დღეებში უდიდესი დახმარება იყო ჩვენთვის ჩვენი ქვეყნის აღდგენის საქმეში. არ არის ჩვენი ხალხის ცხოვრების ისეთი დარგი, რომელიც შესამჩნევი არ იყოს ეს დახმარება.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულებასთან ერთად, თქვა მან შემდეგ, ჩვენ ათი წლის პერიოდში თავდაცვითი კავშირები დავდეთ აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპის სხვა ქვეყნებთან, რომელთა შორის განსაკუთრებულ როლს ასრულებს ჩვენი კავშირი ჩვენს მოსაზღვრე მოძმე ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკასთან. დემოკრატიისა და სოციალიზმის ქვეყნებს შორის შეკრულმა კავშირებმა კედელი შექმნა გერმანული იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბალტიკიდან მთელი ევროპის მანძილზე. ჩვენ გვინდოდა შეგვევსო ეს კედელი. ეს თქვა ი. ბ. სტალინმა, როცა ჩვენ მოსკოვში 1945 წლის 21 აპრილს ხელი მოვაწერეთ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას.

სტალინმა თქვა: „ახლა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გერმანული აგრესია ალყაშემორტყმულია აღმოსავლეთიდან. უეჭველია, რომ თუ ამ ბარიერს აღმოსავლეთიდან დაემატება ბარიერი დასავლეთიდან, ესე იგი ჩვენი ქვეყნების კავშირი ჩვენს მოკავშირეებთან დასავლეთში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გერმანული აგრესია ალაგმული იქნება და იგი ადვილად ვეღარ ითარეშებს“.

აღნიშნა რა, რომ ბარიერი გერმანული მილიტარიზმის წინააღმდეგ არ იქნა შევსებული დასავლეთიდან, იმის გამო, რომ ომისშემდგომი წლების განმავლობაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ყველაფერი გააკეთეს, რაც კი შეეძლოთ, რათა შეექმნათ ბაზა გერმანული იმპერიალიზმის აღორძინებისათვის, უზრუნველყოთ გერმანული იმპერიალიზმის გაბატონებული როლი ევროპის სახელმწიფოთა შორის და წარემართათ იგი აღმოსავლეთში აღმართული ბარიერის წინააღმდეგ, სსრ კავშირის, პოლონეთისა და ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, ცირანკევიჩმა შემდეგ თქვა:

ჩვენ შეუპოვრად და თანმიმდევრულად ვიბრძოდით იმ პრინციპისათვის, რომ ძალა არ იქნეს გამოყენებული როგორც სადავო საერთაშორისო საკითხთა გადაჭრის მეთოდი. ჩვენ უარი ვთქვით ძალაზე, როგორც სადავო საერთაშორისო საკითხთა გადაჭრის საშუალებაზე. ჩვენ ეს აღვბეჭდეთ გაერთიანებული ერების წესდებასა და ჩვენს ძირითად კანონებში — ჩვენს კონსტიტუციებში. ჩვენი სახელმწიფოები არასოდეს არ წამოიწყებენ აგრესიულ ომს, მაგრამ ნურავინ მოიტყუებს თავს იმ იმედით, რომ ძალის მუქარით გვაიძულოს დავემორჩილოთ მის გადაწყვეტილებებს. ჩვენ არავის არ მივცემთ ნებას დაუსჯელად ხელყოს ჩვენი სასიცოცხლო უფლებები. ამიტომ იმისათვის, რომ ჩვენი ნება მოქმედებად ვაქციოთ, იმისათვის, რომ რეალურად დაგუპირისპირდეთ მოახლოებულ საფრთხეს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს, რომ იგი მზად არის მიიღოს მონაწილეობა უშიშროების, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებაში, რომელიც ამ თათბირის განხილვის საგანია.

ეს არის ხელშეკრულება, რომელიც დაიცავს ჩვენს სუვერენულ უფლებებს და რეალურად უზრუნველყოფს მათ. ხელს აწერს რა ამ ხელშეკრულებას, პოლონეთის სახელმწიფო სუვერენულად თანასწორი პარტნიორია საერთაშორისო ურთიერთობაში. ხელშეკრულება უზრუნველყოფს ყველა მისი მონაწილის სუვერენიტეტის ურთიერთდაცვას. ეს არის ხელშეკრულება, რომელიც უეჭველია, პოლონეთის ისტორიაში პირველად, აკავშირებს რა პოლონეთს მრავალმხრივი ვალდებულებებით სხვა სახელმწიფოებთან, ხელს უწყობს იმას, რომ პოლონეთის ინტერესები მათი საკუთარი ინტერესები ხდება, ხოლო ხელშეკრულების თვითეული მონაწილის ინტერესები პოლონეთის ინტერესები ხდება.

ცირანკევიჩმა აღნიშნა, რომ განზრახული ხელშეკრულების ყველაზე არსებითი თავისებურება უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ იგი არ არის მიმართული რომელიმე სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, არამედ ღიაა ყველასთვის, ვინც მოისურვებს გააერთიანოს თავისი ღონისძიებანი ჩვენს ღონისძიებებთან მშვიდობის დაცვის საქმეში. ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტისაგან, დასავლეთ ევროპის კავშირის ან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის პაქტისაგან განსხვავებით, იგი მიზნად არ ისახავს, რომ ხელში ჩაიგდოს სტრატეგიული პოზიციები და ხელსაყრელი თავდასასხმელი ბაზები, იგი არ ემსახურება ვინმესადმი დიქტატის პოლიტიკის მიზნებს. ამ პაქტებისაგან განსხვავებით იგი მიზნად არ ისახავს გარს შემოერტყას, ან მოუმზადებელს მიუსწროს დასავლეთ ევროპის რომელიმე სახელმწიფოს, რადგან ეს არის ხელშეკრულება, რომელიც ძმურ კავშირში აერთიანებს სახელმწიფოებს, რომლებსაც თანაბრად სძულთ ომი და აფასებენ მშვიდობას, ეს არის ხელშეკრულება, რომელიც მიმართულია აგრესიის საფრთხის წინააღმდეგ, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს იგი.

ამ ხელშეკრულებას, განაგრძო მან, ჩვენს ურთიერთობაში შემოაქვს პრინციპულად ახალი რამ, მრავალგზის აღიდგეს რა ამგვარად ჩვენი თავდაცვის შესაძლებლობების ეფექტიანობას, რადგან თავდაცვითი მექანიზმის გაუმჯობესებისა და ჩვენი თავდაცვითი ძალების საუკეთესოდ გამოყენების უზრუნველყოფისათვის ჩვენ ვქმ

ევროპის სახელმწიფოთა ვარშავის თათბირი ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ

(დასასრული)

შემდგომი და დამაჯერებელი დადასტურებაა სსრ კავშირის თანმიმდევრული მშვიდობიანი პოლიტიკისა.

ცირანკევიჩმა აღნიშნა, რომ, თუმცა ვარშავის თათბირი მიძღვნილია ევროპის საკითხებისადმი, მის მონაწილეებს არ შეუძლიათ დუმილით აუარონ გვერდი დიდმნიშვნელოვან ამბებს, რომელთა მოწმენი ჩვენ ვიყავით ამ უკანასკნელ დღეებში სხვა კონტინენტებზე. სიტუაცია ევროპაში და ევროპის მშვიდობის საკითხი არ შეიძლება განვიხილოთ სიტუაციის განვითარებისა და იმ ღონისძიებებისაგან მოწყვეტით, რომლებიც ხორციელდება აზიის კონტინენტზე მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ამ მხრივ უდავოდ ისტორიული მოვლენა იყო ბანდუნგის კონფერენცია. ბანდუნგში აზიისა და აფრიკის ხალხებმა ცხადყვეს, რომ ისინი მტკიცე წინააღმდეგობას უწევენ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას, სამხედრო კავშირთა პოლიტიკას, რომლებსაც ზოგიერთი დიდი სახელმწიფო აკოწიწებს, ატომური შანტაჟისა და კოლონიალიზმის პოლიტიკას. მათ ცხადყვეს თავიანთი მისწრაფება მშვიდობიანი თანაარსებობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობისადმი, მიუხედავად საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემების განსხვავებისა.

უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე ევროპაში მშვიდობის პოლიტიკის მნიშვნელოვანი წარმატებანი. მოსკოვში ავსტრიის მთავრობის დელეგაციის ყოფნის დროს მიღებულ იქნა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რომლებსაც შეიძლება მოკლე დროში მოჰყვეს სახელმწიფო ხელშეკრულების დადება და ავსტრიელი ხალხის სრული სუვერენიტეტის აღდგენა. ეჭვი არ არის, რომ ამ გადაწყვეტილებათა გამოხმაურება შორს გასცდება ავსტრიის ფარგლებს.

რაც შეეხება გერმანიის საკითხს, თქვა ცირანკევიჩმა, ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ეს საკითხი საბოლოოდ მოწესრიგდება ისე, რომ ეს შეესაბამებოდეს მთელი ევროპის სასიცოცხლო ინტერესებს და ამით გერმანელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებსაც. პოლონეთმა შეწყვიტა ომის მდგომარეობა გერმანიასთან და ამრიგად ცხადყო თავისი მისწრაფება — დაამყაროს ნორმალური ურთიერთობა მთელ გერმანელ ხალხთან. ჩვენ გვწამს, რომ გერმანელი ხალხი, რომელსაც ახსოვს ისტორიული გამოცდილება, მიხვდება, რომ გერმანელი მილიტარისტების მიერ ხელისუფლების დაპყრობას იგი შეუძლია მიიყვანოს კიდევ უფრო დიდ კატასტროფამდე და უბედურებამდე, ვიდრე ის, რაც მას თავს დაატეხეს ჰიტლერელმა მმართველებმა.

პოლონეთის დელეგაციის მეთაურმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ახალ ხელშეკრულებას სავსებით უჭერს მხარს დიდი სახელმწიფო — მძლავრი სახალხო ჩინეთი, რასაც ადასტურებს მისი მეთვალყურის მონაწილეობა მოსკოვისა და ვარშავის თათბირებში და სოლიდარობის დეკლარაცია, წარდგენილი მოსკოვის კონფერენციაზე.

ვინც ისე დაბრმავებულია და შეპყრობილია საომარი ციებ-ცხელებით, თქვა ცირანკევიჩმა, რომ იმედი აქვს ვითომდა სამხედრო და ტექნიკური უპირატესობისა მშვიდობის ბანაკზე, მას მწარედ გაუცრუვდება იმედი.

პოლონელი ხალხი, განაგრძო მან, ითვალისწინებს, რომ წარმოდგენილი ხელშეკრულება ჩვენი მოკავშირეების ძალებით ამრავლებს ჩვენს თავდაცვის შესაძლებლობებს; ამ ხელშეკრულების წყალობით პოლონეთის ოდერისა და ნოისეს საზღვრის სადარაჯოზე, ჩვენი ქვეყნის უშიშროებისა და დამოუკიდებლობის სადარაჯოზე დგანან არა მარტო პოლონელი ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები, არამედ აგრეთვე ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის საერთო მისწრაფებით გაერთიანებული მძლავრი საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. ამ ხელშეკრულების მეოხებით პოლონეთის ოდერისა და ნოისეს საზღვრის მეორე მხარეზე დგებიან გერმანელი ხალხის მშვიდობიანი ძალები, რომლებიც მზად არიან ჩვენთან ერთად და ჩვენს თანაბრად დაიცვან მშვიდობა გერმანული მილიტარიზმისაგან.

ამიტომ ეს ხელშეკრულება თვითეულ პოლონელს ჩაუნერგავს შრომის, თავისუფლებისა და სიცოცხლის უშიშროების გრძნობას. ეს ხელშეკრულება საშუალებას მოგვცემს განვავითაროთ ჩვენი სახალხო მეურნეობა, გადავჭრათ დიდებული ამოცანები, რომლებიც ჩვენ დავისახეთ ჩვენი მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების დარგში.

აღნიშნა რა, რომ მშვიდობის ბანაკის ქვეყნების პოლიტიკა ხელს უწყობს კოლექტიური უშიშროების განხორციელებას, რომ ამ იდეას ემსახურება ხელშეკრულება და მისი შემდგომი გაფართოების შესაძლებლობა, ცირანკევიჩმა დასასრულ თქვა:

მე მსურს განვუცხადო აქ წარმოდგენილ მთავრობათა წარმომადგენლებს, რომ პოლონელ ხალხს სავსებით გათვალისწინებული აქვს ახალი ხელშეკრულების ისტორიული მნიშვნელობა, რომ იგი არ დაიშურებს ძალონეს მის დადგენილებათა განხორციელებისათვის და თავის მთავრობასთან ერთად თვალისჩინივით გაუფრთხილდება ხალხთა თავისუფალი თანამშრომლობის აქ გამოჭედილ პრინციპებს.

დარბაზობა ბელგრადში

ბელგრადი, 12 მაისი. (საკდესი). ბელგრადში ჩამოსულ ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ენვერ ხოჯასა და სხვა ალბანელ სტუმრებს, ასევე ალბანეთის ელჩს ბელგრადში, ტიტოს, ალ. �ანოვიჩის, ედ. კარდელის, ალ. �ანოვიჩის, ვ. ბანიჩის, ბ. ბანდერის, ბ. ბანიჩის, ბ. ბანიჩის, ბ. ბანიჩ